GIJTR
Global Initiative for Justice, Truth & Reconciliation

IDFI
Institute for Development of Freedom of Information

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მხარდაჭერა ციფრულ არქივირებაში:

ყოფილი საბჭოთა ქვეყნების - ბელარუსის, საქართველოსა და უკრაინის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების გამოცდილება

შესავალი

ციფრული არქივირება მნიშვნელოვანია სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის (სსო), რადგან ის ეხმარება დოკუმენტურად ასახოს წარსული და მიმდინარე ადამიანის უფლებათა დარღვევები და უკეთ შეაგროვოს ინფორმაცია რათა დაეხმაროს გარდამავალი სამართლიანობის მექანიზმებს და საზოგადოებრივ სიმართლის, სამართლიანობის აღდგენის და ხსოვნის ინიციატივებს. თუმცა, მრავალი ორგანიზაცია, რომელთაც გააჩნიათ პოტენციალი - შექმნან და შეინახონ მნიშვნელოვანი ციფრული არქივები - ვერ ახორციელებენ ამას. შესაბამისი უნარებისა და რესურსების ნაკლებობის გამო, სსო-ებს არ შეუძლიათ ეფექტურად დააარქივონ, შეინახონ და გაავრცელონ თავიანთი დოკუმენტაცია, რაც იწვევს რისკს, რომ მნიშვნელოვანი ინფორმაცია შეიძლება დაიკარგოს ან უბრალოდ არაეფექტური აღმოჩნდეს უფრო დიდი მიზნების მისაღწევად, რაც ეხება სიმართლის თქმას, ანგარიშვალდებულებას და ხსოვნის უზრუნველყოფას.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა (IDFI) და კიდევ ორმა ორგანიზაციამ ყოფილი საბჭოთა ქვეყნებიდან პასუხი გასცა კითხვარს, რომელიც შეიმუშავეს სამართლიანობის, სიმართლისა და შერიგების გლობალური კვლევის ცენტრმა (Global Survey of Justice, Truth and Reconciliation (GIJTR)), ჰუმანიტარული სამართლის ცენტრმა (Humanitarian Law Center (HLC)) და სინდისის მემორიალური ადგილების საერთაშორისო კოალიციამ (International Coalition of Sites of Conscience (ICSC)). კვლევაში ჩართული ორგანიზაციები წარმოადგენენ საქართველოს, ბელორუსს და უკრაინას. ამ ქვეყნებს აკავშირებს საერთო საბჭოთა წარსული და ისტორია დაახლოებით 70 წლის განმავლობაში, თუმცა 90-იანი წლებიდან მათი დემოკრატიული გარდაქმნები გარკვეულწილად სხვანაირად ვითარდებოდა: ერთი მხრივ დემოკრატიზაციის პროცესი წინ წასულია უკრაინასა და საქართველოში, ბელარუსში კი ეს პროცესი უმეტესწილად, არც კი დაწყებულა და ქვეყანას, ფაქტობრივად, კვლავ მართავს საბჭოთა პერიოდის ლიდერი, ალექსანდრე ლუკაშენკო.[1]

ასევე არსებობს განსხვავებები ამ ქვეყნების არქივების ღიაობის რეიტინგში. 2017 წელს, ღია საზოგადოება ბუდაპეშტის ფონდის (Open Society Institute – Budapest Foundation (OSI)) ხელშეწყობით, IDFI-მ საერთაშორისო ექსპერტების ქსელთან ერთად დაიწყო პროექტის - „ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში სახელმწიფო არქივების ღიაობის ხელშეწყობა". პროექტი მიზნად ისახავდა ყოფილი საბჭოთა ქვეყნებში არქივების შეფასებას და მათი ხელმისაწვდომობის ამაღლებას შესაბამისი რეკომენდაციებისა და ადვოკატირების კამპანიის საშუალებით. 2017-2018 წლის პროექტის ფარგლებში შეიქმნა სახელმწიფო არქივების ღიაობისა და არქივების საერთაშორისო რეიტინგის შეფასების მეთოდოლოგია[2] და შეფასდა 20 სახელმწიფო არქივი 10 ყოფილ საბჭოთა ქვეყანაში. პროექტი გაგრძელდა მომდევნო წლებში (2019-2020) და რეიტინგში დაემატა 8 ახალი ქვეყანა აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპიდან. პროექტის შედეგად, სულ შეფასდა 18 ქვეყნის 36 არქივი.[3]

კვლევის - „სახელმწიფო არქივების ღიაობა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებსა და აღმოსავლეთ ბლოკის ქვეყნებში" თანახმად - უკრაინამ მე-4 ადგილი დაიკავა 80,8% საერთო ღიაობით, საქართველომ - მე-7 ადგილი 70,99% ღიაობით, ხოლო ბელარუსმა ბოლოდან მესამე, მე-16 ადგილი 42,17% ღიაობის რეიტინგით. განსხვავებული იყო ამ ქვეყნების არქივებიდან დოკუმენტების ციფრული ასლების მოპოვების შესაძლებლობაც: კვლევის თანახმად, სახელმწიფო არქივის სამკითხველო დარბაზებში ფოტოგრაფირება დაშვებულია მხოლოდ უკრაინაში. შესაბამისად, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიერ საარქივო დოკუმენტების ასლების შეგროვება ბევრად უფრო ადვილია უკრაინაში, ვიდრე საქართველოში ან ბელორუსში.

კვლევა, რომელიც დაგეგმეს GIJTR, HLC და ICSC-მა მნიშვნელოვანია რეგიონისთვის, რადგან დოკუმენტების ციფრული დაცვა ისევე როგორც პრაქტიკული დანიშნულება - რომ ეს არის თანამედროვე სტანდარტი - ასევე აქვს დამატებითი უპირატესობები. ციფრული არქივირება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ შემთხვევებში, როდესაც ქვეყანაში კვლავ მიმდინარეობს რეპრესიები და პოლიტიკური დევნა. ასე იყო ბელორუსის შემთხვევაში - შემფასებლის თქმით, ბელორუსულ უფლებადამცველ ორგანიზაციებს ემუქრებოდნენ ჩხრეკითა და დოკუმენტების ჩამორთმევით, შესაბამისად, ბევრად უფრო მარტივი და უსაფრთხოა დოკუმენტების ციფრული დაცვა.

შემფასებელი ორგანიზაციები, მათი გამოცდილება და მათთან დაცული საარქივო საქმეები

საქართველოში ამ კვლევის მიზნით IDFI შეფასდა. IDFI-ს აქვს საარქივო დოკუმენტების შეგროვების, ანალიზისა და გამოქვეყნების მრავალწლიანი გამოცდილება. ორგანიზაციის შექმნილია რამდენიმე მონაცემთა ბაზა, რომლებიც ძირითადად ეხება საბჭოთა წარსულს, საბჭოთა მთავრობის მიერ ადამიანის უფლებების დარღვევას და შემდეგ მოვლენებს, რომლებიც მოიცავს პერიოდს 1920 – დან 1993 წლამდე. ორგანიზაციის არქივი ინახავს დაახლოებით 2,500 დოკუმენტის სკანირებულ ასლს შსს-დან და ეროვნული არქივიდან. ასევე საარქივო დოკუმენტების 20 ყუთს, თითოეულ მათგანში დაახლოებით 200-250 დოკუმენტით. საორგანიზაციო საქმიანობით შექმნილი დოკუმენტები - კორესპონდენცია, პოლიტიკის დოკუმენტები, სტატიები და სხვა მასალები - შეადგენს დაახლოებით 12,000 ციფრულ დოკუმენტს.

უკრაინაში შეფასდა განმათავისუფლებელი მოძრაობის შესწავლის ცენტრი (CSLM). ორგანიზაცია აგროვებს ინფორმაციას 1917–1991 წლებში უკრაინაში კომუნისტური პოლიტიკური რეჟიმის პირობებში ადამიანის უფლებათა დარღვევების შესახებ. 2021 წლის აპრილის მონაცემებით, CSLM ციფრული არქივი ინახავს 26,5 ათას დოკუმენტს.

ბელორუსში შეფასდა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია, რომელიც აგროვებს დოკუმენტაციას საბჭოთა და თანამედროვე პერიოდში ადამიანის უფლებათა დარღვევის შემთხვევებზე, საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალზე და ბელორუსის ეროვნულ კანონმდებლობაზე, აგრეთვე სხვა სახის ისტორიულ ინტერესებზე დაყრდნობით. ორგანიზაცია ინახავს დაახლოებით 870 საქმეს და დაახლოებით 40,000 გვერდს დოკუმენტს, რომელიც ეხება მხოლოდ თანამედროვე რეპრესიებს.

შესაბამისად, IDFI და CSLM ძირითადად ორიენტირებულია საბჭოთა პერიოდის შესწავლასა და ანალიზზე, ბელორუსული ორგანიზაცია ასევე აგროვებს დოკუმენტებს ადამიანის უფლებების ბოლოდროინდელი დარღვევების შემთხვევების შესახებაც.

ძირითადი მიგნებები და სამივე ქვეყანაში გამოვლენილი ტენდენციები

ციფრული დოკუმენტაცირების ძირითადი ფოკუსი და მიზნები

ორგანიზაციების მასშტაბით დოკუმენტების შეგროვებისა და გამოქვეყნების საერთო მიზნებია: სოციალური და ისტორიული სამართლიანობის აღდგენის ხელშეწყობა; რეპრესირებული მოქალაქეების დახმარება სახელმწიფო ხელისუფლების გაუმართლებელი და რეპრესიული ქმედებების შეცვლა; ციფრული არქივის პლატფორმის საშუალებით შემდგომი რეაბილიტაციის პროცესის ხელშეწყობა, იმ დოკუმენტების ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა, რომლებიც შეიცავს ინფორმაციას ადამიანის უფლებათა მასობრივი დარღვევების შესახებ.

უკრაინასა და საქართველოში დამატებითი მიზანია დაეხმაროს საკუთარ სახელმწიფოებს საზოგადოების დეკომუნიზაციის პროცესში, რაც ქვეყნებში კვლავაც გამოწვევად რჩება. ამ ქვეყნებში ეს პროცესი ძირითადად ეხება თანამედროვე რუსეთის გავლენის ორბიტიდან მოწყვეტისა და რუსული პროპაგანდის დაძლევის საკითხს, რაც ამ ქვეყნების დღის წესრიგში დგას. რუსეთი აქტიურად ეწევა ისტორიის ინსტრუმენტალიზაციას საკუთარი პროპაგანდისტული მიზნებისთვის. ამის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ–ერთი მთავარი მეთოდია არქივების ღიაობა და სტატიების გამოქვეყნება, რომელიც დაფუძნებული იქნება დოკუმენტებზე. დეკომუნიზაცია ბელორუსული ორგანიზაციის ერთ-ერთი მთავარი მიზანიცაა, მიუხედავად იმისა, რომ ბელორუსის მთავრობა რუსეთის გავლენისგან თავის დაღწევას პრიორიტეტად არ მიიჩნევს. პირიქით, ფრაზას - "მე შევაჩერე დეკომუნიკაცია" - ხშირად ამაყად იყენებს ბელორუსის ამჟამინდელი დიქტატორი.[5]

ორგანიზაციების მიერ ციფრული დოკუმენტების შეგროვების მეთოდები შემდეგია: არქივებში შესაბამისი კვლევის ჩატარება; ახალი დოკუმენტების შექმნა და შენახვა; ინტერვიუების ჩატარება. IDFI უკვე მრავალი წელია თანამშრომლობს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასთან და შსს არქივთან. საერთაშორისო პროექტის - „სტალინური სიები საქართველოდან“ - ფარგლებში, IDFI–მ უფასოდ მიიღო დოკუმენტები შსს არქივიდან. IDFI ქმნის და ინახავს დოკუმენტებს ორგანიზაციაში დადგენილი ნუმერაციისა და დაცვის შიდა წესების შესაბამისად. ყველა მნიშვნელოვანი დოკუმენტი: კორესპონდენცია, კვლევა, ანგარიში და ორგანიზაციაში შექმნილი სხვა მასალა ინახება როგორც დაცულ სერვერზე, ასევე ფიზიკური ფორმით. რაც შეეხება CSLM–ს, პარტნიორობის ხელშეკრულებების მეშვეობით ციფრულ დოკუმენტაციას ორგანიზაცია იღებს სხვადასხვა საარქივო დაწესებულებიდან, რომლებიც ძირითადად უკრაინაში მდებარეობს. გარდა ამისა, ისინი აციფრულებენ ცენტრის საარქივო დოკუმენტებს უკრაინის განმათავისუფლებელი მოძრაობისა და მის წინააღმდეგ რეპრესიების შესახებ. ბელორუსის ორგანიზაციის ფორმატი განსხვავებულია და ის აგროვებს თანამედროვე რეპრესიების ამსახველ დოკუმენტებს სხვადასხვა გზით: საპროტესტო აქციების ფოტოგრაფირებით, საპროტესტო პროპაგანდისტული პროდუქტების კოლექციის შექმნით, ინტერვიუების ჩატარებით და ა.შ.

ორგანიზაციები იზიარებენ აზრს, რომ საარქივო დოკუმენტები ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველასათვის, მათ შორის სპეციალური გარდამავალი მართლმსაჯულების ან მართლმსაჯულების მექანიზმების მეშვეობით: IDFI საჯაროდ აზიარებს მთელს თავის დოკუმენტაციას ონლაინ წყაროების საშუალებით. 2018 წელს, ორგანიზაციამ დაწერა სამი სტატია პოლიტიკის შემსწავლელი ინსტიტუტის CEVRO ჟურნალისთვის - „ერების მეხსიერება: დემოკრატიული გარდამავალი სახელმძღვანელო“: "რეჟიმის არქივები", "ლუსტრაცია" და "პოლიტიკურ მსხვერპლთა რეაბილიტაცია" - გარდამავალი პერიოდის საქართველოში.[6]

CSLM დოკუმენტები ყველასთვის ხელმისაწვდომია ციფრული არქივის პლატფორმაზე (www.avr.org.ua) უფასოდ. CSLM ასევე არის „ევროპული მეხსიერების და სინდისის პლატფორმის“ (Platform of European Memory and Conscience) წევრი, რომელიც მართავს პროგრამას Justice 2.0 (პროექტი - „საერთაშორისო სამართლიანობა კომუნისტური დანაშაულებისათვის“).

ბელორუსში გარდამავალი პერიოდი ჯერ არ დამდგარა. როგორც შევსებულ კითხვარში პარტნიორმა ორგანიზაციამ აღნიშნა: "ბელორუსს ჯერ არ აქვს გარდამავალი პერიოდი: ერთი რეპრესიიდან ქვეყანა გადავიდა მასობრივ, სრულ უსამართლო რეჟიმზე." ორგანიზაცია, რა თქმა უნდა, იზიარებს აზრს, რომ გარდამავალი მართლმსაჯულების ამსახველი დოკუმენტები უნდა იყოს საჯარო და ამისთვის აპირებს მომავალში საკუთარი არქივების აქტიურად გამოყენებას.

დოკუმენტების დაცვა (შენახვა)

პრობლემები, რომელსაც ორგანიზაციები აწყდებიან დოკუმენტების შეგროვების პროცესში, განსხვავდება - ზოგიერთ შემთხვევაში ისინი დროთა განმავლობაში იცვლება, ზოგან კი იგივე რჩება. უკრაინაში ასეთი გამოწვევები დროთა განმავლობაში გარდაიქმნა - მაგალითად, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საკითხი - CSLM–მა დაიწყო პროექტი 2013 წელს, როდესაც საბჭოთა არქივები რთულად ხელმისაწვდომი იყო. 2015 წელს უკრაინაში შესაბამისი კანონის მიღების შემდეგ, ორგანიზაციამ გაცილებით მეტი შესაძლებლობები მიიღო მათთვის საინტერესო დოკუმენტების გაციფრულებისთვის.

საქართველოს შემთხვევაში, მთავარი პრობლემა დკავშირებულია დოკუმენტების ციფრული ასლების გადაღების დიდ ხარჯებთან საქართველოს სახელმწიფო არქივებიდან. გარდა ამისა, მოქმედი კანონი „საქართველოში პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ“ საშუალებას აძლევს სახელმწიფო არქივებს არ გასაჯაროონ 75 წლით ადრე შექმნილი დოკუმენტები პერსონალურ მონაცემთა დაცვის მიზეზებით, მათდამი საზოგადოებაში დიდი ინტერესის მიუხედავად. ასეთი პრობლემა უკრაინაში არ დგას. ეს ორი პრობლემა ქართულ კონტექსტში ნაწილობრივ გადაიჭრა მას შემდეგ, რაც IDFI–მ წამოიწყო ზემოხსენებული პროექტები. ბელორუსული ორგანიზაცია ასევე აწყდება სირთულეებს თანამედროვე რეპრესიების შესახებ დოკუმენტების მოძებნა და შეგროვებაში - როგორც მსხვერპლები, ისე პარტნიორი ორგანიზაციები თავს არიდებენ მათ გაზიარებას. მათ შემთხვევაში ასევე არსებობს შემდეგი გამოწვევებიც: ჩხრეკის საფრთხე, დაპატიმრება, კონფისკაცია, მათ შორის, ყველა აღჭურვილობის: კომპიუტერების, ლეპტოპების, ტელეფონების, კამერების და ა.შ. მსგავსი პრობლემები სხვა ორი ქვეყნის შემთხვევაში არ გამოვლენილა. დახურული არქივები და საარქივო დოკუმენტებზე წვდომის არქონა ბელორუსში კვლავ პრობლემად რჩება. შესაბამისად, სამი ქვეყნიდან საუკეთესო სიტუაციაა უკრაინაში, სადაც საკანონმდებლო ორგანო უზრუნველყოფს სახელმწიფო არქივებში ხელმისაწვდომობის მაღალ სტანდარტებს, ხოლო მკვლევარებს საშუალება აქვთ გადაიღონ ასლები საკუთარი კამერით.[7]

სამივე ორგანიზაციაში დიგიტალიზაციის პროცესი ჯერ კიდევ მიმდინარეობს და არ დასრულებულა კვლევის მომენტისთვის. ქვემოთ მოცემულია სკანირების ან / და დოკუმენტის შექმნის პროცესები, რომელსაც ორგანიზაციები იყენებენ:

- IDFI - სკანერს, რომელსაც IDFI იყენებს, აქვს სიმბოლოების ოპტიკური ამოცნობის ფუნქცია. დოკუმენტები დაცულია PDF ფორმატში.
- CSLM - 300 dpi დოკუმენტებისათვის და მინიმუმ 600 dpi სურათების და ფოტოებისთვის. შენახვა TIFF და JPEG ფორმატებში. ციფრულ არქივების გამოსაქვეყნებლად - PDF ფაილები ოპტიკური ამოცნობის ფუნქციის (OCR) გარეშე.
- ბელორუსული ორგანიზაცია - ისევე როგორც ასკანერებს, ასევე იღებს ფოტოებს. ორგანიზაცია არ იყენებს სიმბოლოების ამოცნობის ფუნქციას, ვინაიდან დოკუმენტების უმეტესობა ხელნაწერია ან არ არის კარგი ხარისხის. ამრიგად, უფრო ადვილია / სასარგებლო მათი ხელით აკრეფა, ვიდრე ზემოაღნიშნული ფუნქციის გამოყენება.

სამივე ორგანიზაციას აქვს საკუთარი ციფრული საცავი (სერვერები) და არცერთი არ იყენებს ონლაინ შენახვის საშუალებებს. ამ საკითხში სამივე ორგანიზაცის პერიოდულად, დროთა განმავლობაში უწევს შესანახი რესურსების (სერვერების) ზრდა.

ფაილების მდგრადი და ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში შენახვისთვის ორგანიზაციებს განსხვავებული მიდგომა აქვთ და ეს საკითხი შემდეგნაირად რეგულირდება რეგულირდება: IDFI იყენებს რამდენიმე სარეზერვო მეხსიერების მოწყობილობას, ასევე ე.წ. „ღრუბლოვან საცავს“ (cloud storage). რაც შეეხება CSLM-ს, ციფრული არქივი ორგანიზაციის მუდმივი პროექტია და ისინი უზრუნველყოფენ მას ტექნიკურ მხარდაჭერას სხვადასხვა პროექტის სახსრებით. ბელორუსის სამოქალაქო საზოგადოება არ იყენებს ღრუბლოვან საცავს. ასევე, ისინი ძალოვნების მიერ ჩხრეკის მუდმივი საფრთხის წინაშე დგანან, რამაც შეიძლება გამოიწვიოს მასალების/ სერვერების და ა.შ. კონფისკაცია. ხშირად, ისინი მიმართავენ პარტნიორ ორგანიზაციას ჩეხეთის რესპუბლიკიდან და მათ მიერ გადაღებული ვიდეოები ინახება ჩეხური ორგანიზაციის ვებ–გვერდზე.

ყველა ამ ორგანიზაციის მუდმივი და ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა ფინანსების მოძიება არქივების შენარჩუნების მიზნით, რადგან კვლევაში მონაწილე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები დამოკიდებული არიან გრანტებზე.

მეთოდოლოგია და საერთო ექსპერტიზა

ორგანიზაციებს არ გააჩნიათ რაიმე გამორჩეული საშუალებები, პროგრამული უზრუნველყოფა, სახელმძღვანელო მითითებები, ინსტრუმენტები და/ან საერთო ცოდნა, რომლებსაც ისინი საქმიანობაში იყენებენ. შესაბამისად, ორგანიზაციები თვლიან, რომ ამ მიმართულებით (ინოვაციური პროგრამები) მათ არაფერი აქვთ გასაზიარებელი სხვა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციისთვის. ორგანიზაციებიდან, მხოლოდ უკრაინულმა შეიმუშავა დოკუმენტების გაციფრულების და აღწერის მეთოდოლოგია საკუთარი პლატფორმისთვის. ეს არის შიდა სამუშაო დოკუმენტი, რომელიც არ არის საჯაროდ ხელმისაწვდომი. IDFI– ს და ბელორუსის ორგანიზაციას არ აქვთ შემუშავებული მსგავსი, უნიკალური მეთოდოლოგია და ისინი ზოგადად მიღებულ სტანდარტებს ეყრდნობიან. IDFI მიიჩნევს, რომ აღწერები და სხვა საძიებო დოკუმენტები უნდა შეესაბამებოდეს ციფრული არქივის აღწერის სტანდარტებს ქვეყნის სახელმწიფო არქივებში, რათა შემდეგში - თუ ორგანიზაციამ გადასცა ისინი სახელმწიფო არქივებს - აღარ იქნება საძიებო დოკუმენტების ხელახალი შედგენის ან/და განახლების აუცილებლობა. გარდა ამისა, აღწერილობის პროცესში შეიძლება გამოყენებულ იქნას ICA საარქივო დოკუმენტების მართვის სტანდარტიც (ICA records management standard).[8]

Dublin Core არის კოდირების მეთოდი, რომელსაც უკრაინული ორგანიზაცია იყენებს. ქართულ და ბელორუსულ ორგანიზაციებს არ აქვთ დანერგილი კოდირების მეთოდები თავიანთ საქმიანობაში.

არცერთ ორგანიზაციას არ აქვს შემუშავებული ინფორმაციის ანალიზის პოლიტიკა და არც სხვადასხვა დოკუმენტებსა და კოდების წიგნებს შორის ურთიერთქმედების შესაბამისი სისტემა. ანალოგიურად, ორგანიზაციებს არ აქვთ შემუშავებული უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტები საარქივო მასალისა და გამოკითხულთა უსაფრთხოების დასაცავად. მსგავსი პოლიტიკის დოკუმენტის დანერგვა ყველაზე აქტუალურია ბელორუსული ორგანიზაციისთვის, რადგან მათი რესპონდენტები ხშირად მიმდინარე პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლნი ხდებიან. IDFI და CSLM რესპონდენტები ძირითადად საბჭოთა რეპრესიების მსხვერპლნი არიან და, შესაბამისად, მათ ნაკლები ფიზიკური საფრთხე ემუქრებათ.

სამივე ორგანიზაციას უწევს თანამშრომლობა სახელმწიფო ინსტიტუტებთან, ძირითადად სახელმწიფო არქივებთან, ბიბლიოთეკებთან და მსგავს ორგანიზაციებთან. ამ შემთხვევაშიც IDFI-ს მიერ შემუშავებული საარქივო ღიაობის რეიტინგი პირდაპირ კორელაციაშია თანამშრომლობის ხარისხთან: რაც უფრო მეტად ღიაა სახელმწიფო ორგანიზაცია (არქივი), მით უფრო მეტია სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ხარისხი. ამ შემთხვევაშიც საუკეთესო ვითარებაა უკრაინაში. ერთი ტენდენცია თითქმის ყოველთვის გამოკვეთილია ქართულ რეალობაში: თუ ურთიერთთანამშრომლობის ინიციატივა მოდის დასავლელი პარტნიორი ორგანიზაციისგან, სამთავრობო უწყებები და სახელმწიფო არქივები ყოველთვის თანამშრომლობენ სამოქალაქო ორგანიზაციებთან.

მონაცემთა ბაზა და უსაფრთხოების პროტოკოლები

მონაცემთა ბაზების მართვისთვის ორგანიზაციები იყენებენ ზოგიერთ, ცნობილ პროგრამულ პროდუქტს: Google Drive, Microsoft Package და ა.შ. CSLM და IDFI–სთვის მათი მონაცემთა ბაზა არა მხოლოდ ოფისში, არამედ დისტანციური ადგილებიდანაც არის ხელმისაწვდომი. ბელორუსიის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის განცხადებით, მათი მონაცემთა ბაზა ხელმისაწვდომია ინტერნეტით ნებისმიერი ადგილიდან. CSLM და IDFI მონაცემთა ბაზების შემუშავებაში გარე კონსულტანტების მხარდაჭერით არ სარგებლობენ, ხოლო ბელორუსული ორგანიზაციის მონაცემთა ბაზები მხარდაჭერილია სხვადასხვა პროექტის ფარგლებში.

მონაცემთა ბაზების სარეზერვო ასლების შექმნის მიზნით, IDFI „არენდერებს“ მყარ დისკებს, რომლებზეც სერვერის ინფორმაციის სარეზერვო ასლების განთავსება ხდება ყოველ 24 საათში ერთხელ. CSLM ინახავს ციფრულ ასლებს ორგანიზაციის სერვერებზე და აქვს ავტომატური სისტემა დოკუმენტების სარეზერვო ასლების შექმნა-დაარქივებისთვის. ბელორუსის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციამ აღნიშნა, რომ მათი მონაცემთა ბაზა "უბრალოდ კოპირებულია". ამ უკანასკნელმა არ მოგვაწოდა დამატებითი ინფორმაცია მონაცემთა ბაზის სარეზერვო ასლების შექმნის სხვა რაიმე პრაქტიკის შესახებ.

არც ერთი ორგანიზაცია არ იყენებს მონაცემთა ბაზების დიზაინში ე.წ. entity relationship model-ს. სამივე სამოქალაქო ორგანიზაციის ფაილების საექსპორტო ვარიანტებია: .pdf და .xls ფორმატის ფაილები, ხოლო ბელორუსული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები ასევე ინახავს ფოტოებს .jpg ფორმატში. არცერთ ორგანიზაციას არ აქვს ელექტრონული ფაილებისა და მონაცემების ავტომატური ატვირთვის შესაძლებლობა.

ვინაიდან კვლევაში მონაწილე ორგანიზაციების ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა საარქივო ღიაობის ადვოკატირება და მაქსიმალური გამჭვირვალეობის უზრუნველყოფა, ისინი იზიარებენ პრინციპს, რომ მათი დოკუმენტები ხელმისაწვდომი უნდა იყოს ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის. შესაბამისად, მომხმარებლებს მათ საიტებზე მხოლოდ ერთი დონის წვდომა აქვთ: მათ შეუძლიათ გადმოწერონ ნებისმიერი რაოდენობის დოკუმენტი უფასოდ და რეგისტრაციის გარეშე. ეს ასევე გამოწვეულია იმითაც, რომ ორგანიზაციები არ ინახავენ ისეთ დოკუმენტებს, რომელთა გამოქვეყნება ეწინააღმდეგება პირადი მონაცემების ან სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის შესახებ კანონებს. სამივე ორგანიზაციას აქვს შემუშავებული სამუშაო პაროლების პოლიტიკა.

პერსონალი და ორგანიზაციული ცოდნა და უნარები

კითხვარზე გაცემული პასუხებიდან გამომდინარე, სამივე ორგანიზაციისთვის პრიორიტეტულია გამოცდილი თანამშრომლების დაქირავება, რომელთაც უკვე აქვთ ცოდნა და გამოცდილება ციფრული არქივირების სფეროში. CSLM–ის წევრთა უმეტესობას აქვს ისტორიკოსის ან პოლიტიკის მეცნიერების სპეციალისტის დიპლომი, IDFI–ს მეხსიერების და დეზინფორმაციის მიმართულების ხელმძღვანელს, რომელიც პასუხისმგებელია ციფრულ არქივებზე, გააჩნია საქართველოს ეროვნულ არქივში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება. სამი ორგანიზაციიდან მხოლოდ CSLM-ის თანამშრომლებმა გაიარეს ციფრულ არქივებთან მუშაობის რამდენიმეკვირიანი ტრენინგი. სხვა ორგანიზაციებსა და თანამშრომლებს ჯერ არ გაუვლიათ ტრენინგი ან ცოდნის ამაღლების კურსები ამ მიმართულებით.

ვინაიდან ორგანიზაციების საქმიანობა და ფუნქციონირება დამოკიდებულია გარე დაფინანსებაზე და პროექტებით მოძიებულ სახსრებზე, სამივე ორგანიზაციის მთავარი პრიორიტეტია დამატებითი რესურსები - როგორც ადამიანური, ასევე ფინანსური. კვლევის მომენტისთვის ორგანიზაციების წინაშე მეტნაკლებად დგას რესურსების ნაკლებობა. „არქივების“ მიმართულებით ბელორუსის სამოქალაქო ორგანიზაციაში მუშაობს 10 თანამშრომელი, 5 CSLM– ში და 3 კი IDFI– ში.

ინსტიტუციური მეხსიერება, აგრეთვე გუნდის ინდივიდუალური წევრების ცოდნა და გამოცდილება და მათთან გრძელვადიანი თანამშრომლობა ორგანიზაციებისათვის გადამწყვეტია. IDFI-ს დამფუძნებლები 2009 წლიდან ჩართულები არიან არქივების შექმნისა და შენახვის პროცესში. გარდა ამისა, სხვადასხვა პროექტის ფარგლებში შექმნილი ყველა დოკუმენტი ინახება სპეციალურ სერვერებზე, რომლებიც ხელმისაწვდომია IDFI-ს პერსონალისთვის. ეს დოკუმენტები მოიცავს ანგარიშებს, დაცული მასალის ჩამონათვალს და სხვა დეტალურ ინფორმაციას IDFI პერსონალის მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ. ამ დოკუმენტების სერვერზე ორგანიზებულად განთავსებით და შენახვით, უზრუნველყოფილია ინსტიტუციური მეხსიერების შენარჩუნება. რაც შეეხება CSLM-ს, მან შეიმუშავა დეტალური, წერილობითი ინსტრუქცია ციფრული არქივის შესანარჩუნებლად საჭირო ყველა სახის სამუშაოსთვის. CSLM ასევე ინარჩუნებს, თანამშრომლის მემკვიდრისთვის სამუშაო გამოცდილების გაზიარების პრაქტიკას (მუშაობის დასრულებამდე ან დასრულების შემდეგ). ბელორუსიის ორგანიზაციის შემთხვევაში, ასეთი ინსტიტუციური მეხსიერება და ცოდნა ერთ ადამიანზეა დამოკიდებული - მონაცემთა ბაზას ინახავს და აკონტროლებს მენეჯერი, რაც უზრუნველყოფს მონაცემთა შენარჩუნებას.

რეგიონში სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს შორის გამოვლენილი ზოგადი ტენდენციის შესაბამისად, ციფრული არქივები იქმნება სხვადასხვა პროექტების ფარგლებში და ფინანსური დონორების - ფონდების მხარდაჭერით. ამასთანავე, ეს პროექტები - ციფრული არქივების შექმნასთან დაკავშირებული - ძირითადად თავად ორგანიზაციების ინიციატივით სრულდება.

კვლევის მომენტისთვის, ორგანიზაციების საარქივო მიმართულებები ფინანსურად მდგრადია. მაგალითად, IDFI–ს აქვს ორგანიზაციული მხარდაჭერა შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტოსგან (Sida), რაც IDFI–ს საარქივო კვლევებს და ციფრულ არქივებს ფინანსურად მდგრადს ხდის. თუმცა, CSLM-ის მსგავსად, IDFI მუდმივი თანხების მოძიების პროცესშია, რათა პროექტი გახდეს უფრო მდგრადი და მასში ახალი ელემენტები შევიდეს.

ნასწავლი გაკვეთილები და წინსვლის გზები

ყველა ორგანიზაცია მნიშვნელოვნად მიიჩნევს შეგროვებული დოკუმენტაციის სამომავლო გამოყენების საკითხს. IDFI მიიჩნევს, რომ დოკუმენტაცია, რომელსაც აგროვებს, უნდა გახდეს სტუდენტებისა და მკვლევარებისთვის საშუალებად, რომლებიც პირველად წყაროებზე ინტერნეტით (ონლაინ) მუშაობა სურთ. საქართველოში სახელმწიფო არქივები, მათი სიდიდისა და იქ დაცული დოკუმენტების რაოდენობის გამო, ნაკლებად აქვეყნებს მასალებს კრებულების სახით.

IDFI აგროვებს დოკუმენტებს, რომლებიც აქტუალურია, ასევე მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი საკითხებისათვის და გამოსადეგია კვლევის დროს. საარქივო მასალების გარდა, IDFI–ს არაერთი კვლევითი ნაშრომი სოციალურ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სასამართლო, მედიასა და სხვა შესაბამის სფეროებში წარმოადგენს მომავალში საუკეთესო საარქივო წყაროს ქვეყნის განვითარების ტენდენციების შესაფასებლად. CSLM იმედოვნებს, რომ მის არქივში დაცული დოკუმენტები მკვლევარებს XX საუკუნის უკრაინის და საბჭოთა ისტორიის სხვადასხვა საკითხის შესწავლასა და გაგებაში დაეხმარება. რაც შეეხება ბელორუსულ ორგანიზაციას, იგი იმედოვნებს, რომ ოდესმე ბელორუსში დაარსდება ეროვნული მეხსიერების/ ხსოვნის ინსტიტუტი და ყველაფერი, რაც ორგანიზაციამ შეაგროვა, გადაეცემა ამ უწყებას.

სამივე ორგანიზაციისთვის ციფრულმა არქივირებამ ხელი შეუწყო ორგანიზაციის შესაძლებლობების გაზრდას, ხილვადობას და / ან ინფორმაციის გაზიარების მეთოდებს. ზოგადად, სამივე ორგანიზაციის ათვლის წერტილი იყო საარქივო დოკუმენტების შეგროვება, მათი გავრცელება და შემდგომი კვლევების წახალისება. IDFI ამჟამად ახორციელებს არაერთ მნიშვნელოვან პროექტს როგორც საქართველოში, ასევე საერთაშორისო მასშტაბით ინფორმაციის თავისუფლების მიმართულებით, რომელიც მოიცავს მრავალი ქვეყნის მნიშვნელოვან სფეროებს: ეკონომიკური, სოციალურ პოლიტიკური, ანტიკორუფციული, სასამართლო და ა.შ. სახელმწიფო არქივების თავისუფლება და ხელმისაწვდომობა ორგანიზაციის დაარსების დროს ერთ-ერთი უმთავრესი იყო და IDFI-ს განვითარება სწორად აქედან დაიწყო.

სამივე ორგანიზაციამ ციფრული არქივირების შედეგად დაიწყო ახალი პარტნიორობა და პროგრამები უნივერსიტეტებთან, არქივებთან, ბიბლიოთეკებთან, ევროპის და აშშ-ს მოქმედ ქსელებთან, საელჩოებთან, ფონდებთან და ა.შ.

ამჟამინდელი გამოწვევები განსხვავდება ორგანიზაციის სამუშაო პროფილების მიხედვით. დაბრკოლებები ყველაზე მეტად შეიმჩნევა ბელორუსული ორგანიზაციის შემთხვევაში, ვინაიდან რეპრესიები და ადამიანის უფლებათა დარღვევები, რასაც ორგანიზაცია სწავლობს და რის შესახებაც აგროვებს ინფორმაციას, კვლავ მიმდინარეობს თანამედროვე რეალობაში. IDFI-მ აღნიშნა, რომ ორგანიზაციის წინაშე დგას შემდეგი გამოწვევები: სახელმწიფო არქივების ღიაობა და ხელმისაწვდომობა (განსაკუთრებით დოკუმენტების სკანირების მაღალი ღირებულება, რაც არ შეცვლილა IDFI-სა და მსგავსი ორგანიზაციების მუშაობისა და ადვოკატირების შედეგად). CSLM–სთვის ამ მხრივ უკეთესი ვითარებაა: მათ პროექტი 2013 წელს დაიწყეს, როდესაც საბჭოთა არქივები ხელმისაწვდომი არ იყო. 2015 წელს უკრაინაში შესაბამისი კანონის მიღების შემდეგ, ორგანიზაციამ გაცილებით მეტი შესაძლებლობები მიიღო ყველა მათთვის საინტერესო დოკუმენტის ციფრული ფორმირებისთვის.

საარქივო მასალების კატალოგიზაციისა და აღწერის სათანადო პოლიტიკის შემუშავება წარმოადგენს საარქივო დოკუმენტების დასკანირებისა და გაციფრულების პროცესის ყველაზე მნიშვნელოვან ასპექტს. მრავალი ორგანიზაცია ირჩევს სკანირების დაწყებას, იქამდე, სანამ შეიმუშავებენ სრული პროცესის მიმართ თანმიმდევრულ მიდგომას, რაც კიდევ უფრო ართულებს ამოცანას და გაციფრულებულ მასალებს თითქმის უსარგებლოს ხდის.

IDFI მიიჩნევს, რომ სათანადო კატალოგიზაცია, აღწერილობის და საძიებო სისტემების შექმნა - ქვეყანაში დადგენილი საარქივო წესების შესაბამისად - გადამწყვეტია. ადრე თუ გვიან, ორგანიზაციის ციფრული არქივები გაიზრდება და კარგი ჟესტი და პრაქტიკული გამოსავალი იქნება, თუ დოკუმენტები სახელმწიფო არქივებს გადაეცემათ, რადგან სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები მუშაობის პროცესში უამრავ საინტერესო ინფორმაციას აგროვებენ. ჩაბარებამდე კი მნიშვნელოვანია დოკუმენტების აღწერა ისე, რომ მათი ხელახალი დამუშავება აღარ გახდეს საჭირო. მაგალითად, 2000-იან წლებში „ჰარვარდისა და ლევილის კოლექციიდან“ საქართველოს ეროვნულმა არქივმა მიიღო რამდენიმე ათეული საარქივო ფონდი საქართველოს პირველი რესპუბლიკის შესახებ, რომლებიც ორგანიზებული/ აღწერილი იყო შესაბამისად იმ დაწესებულებების მიერ, სადაც ისინი ინახებოდა.

საქართველოს ეროვნულმა არქივმა დაშალა დოკუმენტური კოლექციები და ისინი თავიანთი სტანდარტების მიხედვით ხელახლა აღწერა და დაალაგა. შედეგად შეუძლებელია მოიძებნოს დოკუმენტები ძველი აღწერის ნომრებით, რომლებიც ზოგიერთმა მკვლევარმა გამოიყენა 2000-იან წლებამდე, რადგან მას შემდეგ დოკუმენტები ხელახლა გადაინომრა.

დასკვნა

GIJTR, HLC და ICSC– ს მიერ წარმოდგენილი კითხვარი აუცილებელია სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისათვის, რათა მათ სწორად გაიგონ საკუთარი საჭიროებები ციფრული არქივების შექმნის პროცესში. თვითრეფლექსიის/ საკუთარი თავის შეფასების გარდა, კითხვარის ანგარიში შეიძლება სახელმძღვანელო იყოს ინდივიდუალური რეაგირების შემდგომი ნაბიჯების დაგეგმვის, ასევე საერთო პრობლემების, გამოწვევებისა და დაბრკოლებების სწორად გასარკვევად. იგი ასევე აჩვენებს სხვადასხვა მაგალითს - ციფრული არქივების შექმნის/შენახვის მიდგომებსა და მეთოდებს, მათი არსებობის მნიშვნელოვანების დასაბუთებას და რეგიონალურ დონეზე საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების შესაძლებლობებს.

საგულისხმო დასკვნაა, რომ ორგანიზაციებმა მხოლოდ ერთმა შეიმუშავა და დანერგა სხვადასხვა ტიპის შესაბამისი მეთოდოლოგია, როგორიცაა კოდირების მეთოდები, ინფორმაციის ანალიზი, სხვადასხვა დოკუმენტებსა და კოდების წიგნებს შორის ურთიერთქმედების შესაბამისი სისტემა. იმ მიზეზთა შორის, რომლებსაც სხვა ორგანიზაციები არ ნერგავენ მსგავს მეთოდოლოგიებს, ამჟამად მათ მიერ შეგროვებული საარქივო დოკუმენტაციის შედარებით დაბალი მოცულობა შეიძლება დასახელდეს. იმის გათვალისწინებით, რომ ამ მომენტისათვის საარქივო დოკუმენტაციის ძიება და იდენტიფიკაცია სირთულეს არ წარმოადგენს, საარქივო დოკუმენტაციის რაოდენობის გაზრდის შემდეგ, ამგვარი მეთოდოლოგიების დანერგვა აუცილებლობად იქცევა.

თანამშრომლობა და ერთობლივი პროექტები როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო დონეზე, დადებითად აისახა სამოქალაქო საზოგადოების არქივების განვითარებასა და მათი დიგიტალიზაციის პროცესზე. ეფექტურობა მნიშვნელოვნად უკავშირდება ქვეყნებში სახელმწიფო არქივების ღიაობას და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ხარისხს. იმ ქვეყნებში, სადაც სახელმწიფო არქივები ღია და ხელმისაწვდომია, სამოქალაქო საზოგადოების კვლევითი ორგანიზაციები უფრო ეფექტურად მუშაობენ და პირიქით. ზოგიერთ შემთხვევაში, მაგალითად საქართველოში, საერთაშორისო (დასავლური) წახალისება ხელს უწყობს სახელმწიფო არქივების თანამშრომლობას ადგილობრივ სამოქალაქო ორგანიზაციებთან, რამაც, IDFI–ს შემთხვევაში, მნიშვნელოვანი განვითარება გამოიწვია არა მხოლოდ კვლევის კუთხით, არამედ არქივების ღიაობის ადვოკატირებაშიც ქვეყანაში და საერთაშორისო დონეზე.

სხვა საკითხი უკავშირდება ფინანსურ დამოკიდებულებას გარე სახსრებზე და გრანტებს, რომლებიც ორგანიზაციებს საშუალებას აძლევს შექმნას, შეინახოს და განაახლოს საარქივო კვლევების მიმართულება და განავითაროს ციფრული არქივები. გარდა ფინანსური და ადამიანური რესურსების შეზღუდვებისა, რომლებიც გავლენას ახდენს კვლევაში მონაწილე თითოეულ ორგანიზაციაზე, ქვეყანაში არსებული საკანონმდებლო და პოლიტიკური სიტუაცია გავლენას ახდენს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების არჩევანზე, როგორ მიდგომა შეიმუშავოს საარქივო მონაცემების დაცვისა და განვითარების კუთხით. ეს განსაკუთრებით საგანგაშო ხდება ბელორუსული ორგანიზაციის შემთხვევაში, მონაცემთა კონფისკაციის საფრთხეებისა და მკვლევარებისთვის შესაძლო რისკების ჩათვლით. მეორეს მხრივ, უკრაინაში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები დადებითად აისახა არქივების ღიაობაზე და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის მიერ საარქივო მონაცემების გაციფრულებაზე.

წყაროები

1. ალექსანდრე ლუკაშენკო (დ. 1954) - საბჭოთა ნომენკლატურის მუშაკი. 1990 წელს აირჩიეს ბელორუსის სსრ პარლამენტის წევრად. 1991 წელს ის ერთადერთი დეპუტატი იყო, ეწინააღმდეგებოდა საბჭოთა კავშირის დაშლას. ლუკაშენკო ბელორუსის პრეზიდენტია 1994 წლიდან და მას ხშირად განიხილავენ როგორც კომუნისტური პრინციპების დამცველს ქვეყანაში. უფრო მეტიც, გავლენიანი დასავლური ორგანიზაციები მას ადანაშაულებენ დიქტატურასა და თანამედროვე რეპრესიებში. იხილეთ: https://www.britannica.com/biography/Alexander-Lukashenko / https://www.atlanticcouncil.org/blogs/ukrainealert/europes-last-dictator-the-rise-and-possible-fall-of-alexander-lukashenko/
2. http://www.open-archives.org/en/pages/methodology
3. http://www.open-archives.org/en/rating
4. ბელორუსული ორგანიზაციის თხოვნით, მათი სახელი კვლევაში არ იქნება ნახსენები, რადგან ორგანიზაციის თანახმად, "თანამედროვე ბელორუსში სიტუაცია ძალიან რთულია -ყველა ფორმით ილახება ადამიანის უფლებები და არის რეპრესიების პიკი".
5. https://naviny.belsat.eu/en/news/i-stopped-decommunization-lukashenka-proud-of-bolshevik-heritage/
6. http://www.cevro.cz/web_files/soubory/democracy-guide/democracy-guide-2019/MN-DTG%202019%20-%20(07)%20The%20Georgian%20Experience.pdf
7. ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებსა და აღმოსავლეთის ბლოკის ქვეყნებში სახელმწიფო არქივების ღიაობა - შეფასების რეიტინგი და კვლევის შედეგები - https://idfi.ge/public/upload/OSI/756343.pdf
8. https://www.ica.org/sites/default/files/Relationships_archival_descriptive_standards.pdf
9. https://archive.gov.ge/en/sakartvelos-pirveli-respublika-1

GIJTR
Global Initiative for Justice, Truth & Reconciliation

IDFI
Institute for Development of Freedom of Information